საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თბილისის დრო

თბილისის დრო, მესამე სასაათო ზოლის შუა მერიდიანის საშუალო დეკრეტული დრო. ამ ზოლში მოქცეულია საქართვ. ტერიტორია და, კერძოდ, თბილისი. 2011-იდან თ. დ. 4 სთ-ით უსწრებს მსოფლიო დროს, XX–XXI სს. მიჯნაზე, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, დღის სინათლის ეფექტურად გამოყენებისა და ელექტროენერგიის ეკონომიის მიზნით გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში ხდებოდა საათის ისრის კიდევ ერთი საათით გადაწევა, რის გამოც მარტის თვის ბოლო კვირადღის 2 საათიდან ოქტომბრის თვის ბოლო კვირადღის 3 საათამდე თ. დ. 5 სთ-ით უსწრებდა მსოფლიო დროს. თ. დ-ით ხდება საქართვ. ეკონ.-კულტ. ცხოვრების რეგულირება.